საქართველო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება

4100, ქ.სენაკი, ტაბიძის ქ. N 60
60. Tabidzis Str., Senaki, Georgia

(ს/კ 239892434)
595 994 004

№ 21 14.03 2025 წ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი, 2025 წლის 13 მარტის N 40-402507236 წერილის პასუხად გეგზავნებათ ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2024 წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

დანართი 6 ფურცელი.

პატივისცემით,

გაერთიანების დირექტორი ა. ჯანჯღავა

ა ნ გ ა რ ი შ ი

აიპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2024 წლის 12 თვის მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში ფუნქციონირებდა 27 ს/ბაღი, ქალაქად- 10 სოფელად- 17, აღსაზრდელთა რაოდენობა - 893. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რიცხოვნება შეადგენს 346. აქედან ს/ბ-ბაღებში-321 ,სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციაში -25, შტატგარშე მომუშავეთა რიცხოვნობა -1. სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 2024 წლის 12 თვის მდგომარეობით სუბსიდიური დაფინანსება გეგმით 3578000 ათ,ლარი, აქედან 2024 წელს ბიუჯეტით მიღებულია 3497314.51 ლარი.

ა) სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციისათვის 2024 წელს ბიუჯეტიდან გახარჯულია 368639.30 ლარი. აქედან:

1. შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა სულ -310217.27 ლარი. აქედან, ხელფასი -291341.27 ლარი, პრემია -18876 ლარი.
2. სოც.უზრუნველყოფის ხარჯი -1535.30 ლარი.
3. მივლინების ხარჯი -1347.30 ლარი.
4. ოფისი და სხვადასხვა საქონელი და მომსახურება სულ - 18187.45 ლარი; (მ/შ ინტერნეტის მომსახურეობა -1950 ლარი, უპეესის შეძენა -714,60 ლარი, საკანცელარიო საქონლის შეძენა - 2205,44 ლარი, საოფისე ავეჯის შეძენა - 4048 ლარი, ორიგინალური კატრიჯების შეძენა - 3600 ლარი, სილქნეტის მომსახურება - 3288,21 ლარი,ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი -39 ლარი, პრინტერისთვის კატრიჯის შეძენა - 1380, კომპ.დაკავშ.ხარჯი -250 ლარი, ჰიგიენური საშუალებების შეძენა -656,20 ლარი, ცოცხის შეძენის ხარჯი - 56 ლარი)
5. ტრანსპორტირების ხარჯები: - 5797,28 ლარი, (მათ შორის: დიზელზე- 3316,94 ლარი, ავტომანქანის რემონტი -2480,34);
6. სხვადასხვა ხარჯი - 5124,70 ლარი (საქ.ფინანსთა ასოციაციის საწევრო შენატანი -4000 ლარი; არქივის ხარჯი -1124,70 ლარი);

7. არაფინანსური აქტივების ხარჯი- 26430 ლარი. მათ შორის (კომპიუტერის შეძენა - 9250 ლარი, კონდიციონერების შეძენა -8180 ლარი,არასაცხ. შენობის ელექტ.გაყვანილობა და დამონტაჟება -9000 ლარი).

ბ) სკ.აღზრდის გაერთიანებაში შემავალი ბ/ბაღებისათვის 2024 წელს ბიუჯეტიდან გახარჯულია - 3128675,21 ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება - 2284103,45 ლარი.(მ.შ ხელფასი - 2142111,45 ლარი, პრემია - 141992 ლარი.

2. კვებაზე დახარჯულია სულ - 454390,84 ლარი. (მ.შ.კვება- 434098,95 სასმ.წყალი -6790,44 ლარი, საახალწლო ნობათი - 13501,45 ლარი).

3. სოც.უზრუნველყოფის ხარჯი -5127,19 ლარი;

4. შტატგარეშე მომუშავეთა ხარჯი -10200 ლარი;

5. მივლინების ხარჯი - 245,40 ლარი;

6. ოფისი და სხვადასხვა საქონლის და მომსახურეობა -290435,68 ლარი (მ/შ თხევადი გაზის შეძენა – 1645 ლარი, წყალმომარაგების კომპანის მომსახურეობა - 18295,49 ლარი, ჰიგიენური საშუალებების შეძენა -14065,60 ლარი, ცოცხის შეძენის ხარჯი - 644 ლარი,ბუნებრივი აირის შეძენა -27364,46 ლარი, ტენდერის გამოცხადება -700 ლარი, ენერგოპროჯორჯიის მომსახურება -47289,46 ლარი, სხვადასხვა სახის საქონელი -7325,40 ლარი, 112-ის მომსახურება(სილქნეტი) – 86,80 ლარი, სილქნეტის მომსახურება -1000 ლარი, ინტერნეტი მომსახურება- 4518 ლარი,სათამაშოების შეძენა - 9994 ლარი, უპეესის შეძენა- 635,20 ლარი, ელექტროსასწორის შეძენა -640 ლარი, შეშის ღუმელის და მოწყ.შეძენა -128 ლარი, ავეჯის შეძენა -51583,14 ლარი, მისალოცი ბარათების თანხა -1120 ლარი, ლინოლიუმის შეძენა- 2200 ლარი, საკანცელარიო საშუალებების შეძენა - 3834,76 ლარი, სკოლაში წამსვლელი აღსაზარდელთა სასაჩუქრე ნობათი - 2955,47 ლარი, ტელევიზორები და მუსიკალური ცენტრი - 9780 ლარი,ელ.სამზარეულოს მოწყობილობა და სხვა - 5417,90 ლარი, ცეცხლმაქრების დამუხტვა - 2356 ლარი, შეშის შეძენა (ბრიკეტი) -69657 ლარი, წყლის ავზის შეძენა -370 ლარი,მაცივრის თერმომეტრი - 4140 ლარი, ცენტრალური გათბობის შეკეთება - 350 ლარი, ფოსტს - 180ლარი, მეტალო კარ.ფანჯრების შეძენა -2160 ლარი).

7. სხვა ხარჯი სულ -41198,65 ლარი მათ შორის: (დასუფთავების სანიტარულ ღონისძიების რეზერვუარის და წყლის ბიოლოგიური გამოკვლევა -16959,75 ლარი, ტრენინგის ხარჯი – 7990 ლარი, ბინის ქირავნობა -6000 ლარი, ასენიზაციის ხარჯი - 300 ლარი, წიგნების შეძენა - 9948,90 ლარი).

8. არაფინანსური აქტივის ხარჯი - 42974 ლარი მათ შორის: (კომპიუტერის შეძენა - 27750 ლარი, მაცივარი - 2720 ლარი, ელექტ.პიანინო -9750 ლარი, კონდიციონერების დამონტაჟება -800 ლარი არასაცხ. შენობების ბუნ.გაზ.გაყვანა -1954 ლარი).

სულ 2024 წელს სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისა და ბაგა-ბაღებზე მიზნობრივად გახარჯულია -3497314,51 ლარი.

2024 წელს სააღმზრდელო პროცესი განახლდა 18 იანვარს, მანამდე კი გაერთიანების მიერ გატარდა ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიება საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კერძოდ, გამოცხადდა და შედგა კვების პროდუქტების შესყიდვებისთვის საჭირო ტენდერები, დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები. შესრულდა ყველა საჭირო სამუშაო სასაწყობე ოთახების მოსაწესრიგებლად, დამტკიცდა კვების მენიუ, რომელიც ოთხჯერად კვებას ითვალისწინებს. კვების თანხამ 1 აღსაზრდელზე შეადგინა 3,52 ლარი. შესრულდა სადეზინფექციო სამუშაოები ყველა საბავშვო ბაღში, გაირეცხა და დეზინფექცირდა სასმელი წყლის რეზერვუარები, გაკეთდა წყლის ანალიზი, ხოლო სოფლის ბაღებში შეტანილი იქნა ბუტილირებული სასმელი წყალი.

ყველა საბავშვო ბაღი მომარაგდა საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით და სადეზინფექციო სითხეებით (სულ 14065 ლარის). შევიძინეთ და ყველა საბავშვო ბაღს გადავეცით სათამაშოები (სულ 9994 ლარის), თვალსაჩინოებები და საბავშვო წიგნები (სულ 9949 ლარის), საკანცელარიო ნივთები 3834 ლარის.

ბაღების მოთხოვნის შესაბამისად საბავშვო ბაღებს შევუძინეთ და გადავეცით მუსიკალური ცენტრები და ტელევიზორები სულ 7764 ლარის, ელექტროპიანინოები 9750 ლარის და ავეჯი 55631 ლარის.

გარკვეული სამუშაოები გატარდა, იმისათვის რომ გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღი მომარაგებულიყო საწვავი ხის მასალით. შესაბამისი ტენდერის მეშვეობით შეძენილი იქნა 69657 ლარის ბრიკეტი და შეშა, რომელიც დროულად განაწილდა ყველა საბავშვო ბაღში.

გამომდინარე აქედან სასწავლო სააღმზრდელო პროცესი შეუფერხებლად განახლდა 27-ე საბავშვო ბაღში.

წლის დასაწყისში დაიგეგმა და ჩატარდა აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 სთ-იანი ტრენინგ-მოდული, რომელიც წარმატებით გაიარა და ჩააბარა გაერთიანების ბაგა-ბაღების კიდევ 23 პედაგოგმა. სულ აღნიშნული ტრენინგ-მოდული გავლილი აქვს გაერთიანების 69 აღმზრდელ-პედაგოგს.

ამასთან ჩვენ სისტემატურად ვზრუნავთ აღმზრდელ-პედაგოგებისა და მეთოდისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რისთვისაც 2024 წელს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერებისა და სენაკის სათემო განათლების ცენტრის მიერ სამთვიანი ინტერვალით ჩატარდა 3 ტრენინგ-სწავლება ბაღებში ინკლუზიური განათლებისა და თამაში კურიკულუმის მიმართულებით, რომელშიც გაერთიანების 50-მდე აღმზრდელ-პედაგოგმა, მეთოდისტმა, ბაღის გამგემ და გაერთიანების სპეციალისტებმა მიიღეს მონაწილეობა.

აღსანიშნავია გასული წლის აპრილის თვეში ნეირობალანსირების ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაზე, რომელშიც გაერთიანების 100 მდე ბაღის პედაგოგი და აღსაზრდელთა მშობლები მონაწილეობდნენ.

გასულ წელთან შედარებით მ/წელს გაიზარდა სპეც.პედაგოგების რაოდენობა ბაღებში. ამ ეტაპზე 7 საბავშვო ბაღში 9 სპეც.პედაგოგი საქმიანობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელებთან.

სიახლეა ბაღების ინტერნეტით უზრუნველყოფის კუთხით. პირველ ეტაპზე 14 საბავშვო ბაღს გადაეცა ახალი კომპიუტერული ტექნიკა და უწყვეტი დენის ბლოკები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინტერნეტით უზრუნველყოფის საკითხების მოგვარება იმ ბაღებში სადაც ამის ტექნიკური საშუალება არსებობს.

2024 წლის განმავლობაში გაერთიანების მიერ გატარდა მთელი რიგი სამუშაოები სააღმზრდელო პროცესის წარმატებულად და შეუფერხებლად წარმართვისათვის. კერძოდ;

დაგეგმილი იყო და მიმდინარეობდა აქტივობები სხვადასხვა საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე. მარტის თვეში გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა „დედის დღესთან“ დაკავშირებული ღია აქტივობები, ასევე მარტის თვეში დაიგეგმა და წარმატებით წარიმართა გამწვანების აქცია-კვირეული „ჩვენ ბუნების

მეგობრები ვართ“ . ასევე ჩატარდა აქტივობა „გაზაფხული შემოსულა“, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, აქტივობა 19 მაისი - ეროვნული სამოსის დღე, 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, აქტივობა „მხიარული თამაშები“. საინტერესო იყო საბავშვო ბაღების მიერ გამართული დედაენის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები და შემეცნებითი საუბრები, ხარება, ბზობა, აღდგომის თემებზე.

წარმატებით ჩატარდა ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტი „წიგნის დრო-სტუმრად ზღაპრის სამყაროში“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ბავშვებისათვის ჩაგვენერგა წიგნის სიყვარული, გაგვეცნო მათთვის ქართული ხალხური ზღაპრები და მათი გმირები, ამასთან ბავშვებს ეძლეოდათ საშუალება განესახიერებინათ, დაეხატათ, გამოეძერწათ ზღაპრის გმირები, გამოეხატათ თავისი აზრი და დამოკიდებულება პერსონაჟთა მიმართ. პროექტი წარმატებით განხორციელდა გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში. მომავალშიც ვაპირებთ ამ პროექტის გაგრძელებას.

სასწავლო წლის ბოლოს გაერთიანების ბაგა-ბაღებში გაიმართა გამოსაშვები აქტივობები. სკოლაში გავაცილეთ 337 აღსაზრდელი. თითოეულ მათგანს გადაეცა სამახსოვრო სიგელები, მასზედ რომ მათ წარმატებით გაიარეს სასკოლო მზაობის სრული კურსი და სასკოლო ნივთების ნაკრები., რაზეც დაიხარჯა 2955 ლარი.

სექტემბრის თვეში სააღმზრდელო პროცესი შეუფერხებლად განახლდა 15 სექტემბერს, ყველა საბავშვო ბაღი მომზადებული შეხვდა სასწავლო წლის დაწყებას, ბაღები დროულად იქნა მომარაგებული ყველა საჭირო საკვები პროდუქტით და სანჰიგიენური საშუალებებით, დეზინფიქცირდა და დასუფთავდა სააღმზრდელო ოთახები, მოწესრიგდა ეზოები და სათამაშო მოედნები. ჩატარდა სასმელი წყლის ბიოლოგიური გამოკვლევა, დასუფთავდა წყლის რეზერვუარები.

ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში ბაღები საქმიანობენ გაწერილი გეგმის მიხედვით, ჩატარდა გეგმიური აქტივობები „ბუნება და ადამიანი“, წელიწადის დროები“, „შემოდგომა“, შემეცნებითი აქტივობა „ყველაფერი ჩვენს გარშემო’ „ბიომრავალფეროვნება“ და სხვა. ამასთან აღსანიშნავია თემატური აქტივობები მშობლების ჩართულობით, რომელმაც უკვე სისტემატიური ხასიათი მიიღო.

წლის დასასრულს ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა სახალისო აქტივობა „შობა-ახალი წელი“, სადაც გაერთიანების ბაღების ყველა აღსაზრდელს გადაეცა 13501 ლარის სასაჩუქრე ნობათი.

წლის განმავლობაში გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღი 4- ჯერ შემოწმდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. შემოწმების შედეგად არცერთი კრიტიკული შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა, მოგვეცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

მოცემული რეკომენდაციების თანახმად უნდა შეგვეძინა ყველა ბაღისათვის მაცივრისა და კერძის თერმომეტრები, სასაწყობე ოთახებისათვის ტენიანობის განმსაზღვრელი აპარატები, რაც დროულად იქნა შეძენილი და დარიგებული ყველა ბაღში.

აღსანიშნავია, რომ დამატებით შეძენილ იქნა სამზარეულოს ჭურჭელი, თეფშები, ჭიქები, კოვზები, ჯამები, ემალის ვედროები, თუშფალანგები, დანები და სხვა საჭირო ინვენტარი. ყველა საბავშვო ბაღში შემოწმდა და დაიტუმბა ცეცხლმაქრები, ამ ეტაპზე ბაღებში 75 ცეცხლმაქრია მზადყოფნაში.

გადაუდებელი აუცილებლობით გამოიცვალა სამ ბაღშღი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები, სულ 2016 ლარის.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გაერთიანების 4 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ესენია ქალაქის N 3 ბაგა-ბაღი, ძვ.სენაკის N 1, ფოცხოს N 2 და ლეძაძამეს საბავშვო ბაღები, რომელთა მშენებლობა მიმდინარე წელს დასრულდება. N 3 ბაგა-ბაღი გათვლილია 100 აღსაზრდელზე. ხოლო სოფლის ბაღებს 50 აღსაზრდელზე. მშენებლობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აწარმოებს და მათ მიერვე იქნება აღჭურვილი საჭირო ტექნიკითა და ავეჯით.

ახალი სასწავლო წლისათვის გვაქვს მნიშვნელოვანი გეგმები. ვემზადებით 2026 წლის ბაღების ავტორიზაციისათვის, რისთვისაც ტარდება შესაბამის მოსამზადებელი სამუშაოები.

გაერთიანების დირექტორი ა. ჯანჯღავა